ლელო

№ 8
(11 260)

2 – 4 თებერვალი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ძეცბაია ის აღარ არის, ქეცბაია საქმეს არაპროფესიონალურად უდგება, ქეცბაია „ნიუკასლის დროით“ ცხოვრობს... მაგრამ, თავდადებულ მებრძოლზე, ასეთ მდაბალ „ჩხვლეტებს“ ცოტა თუ იჯერებდა. „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავკაცი რუუდ გულიტი სულ უფრო და უფრო მეტ ნდობას უცხადებს ჩვენებურს და „ქეცბაც“ ზედიზედ მესამე მატჩში არ ტოვებს მინდორს უგოლოდ. ამჯერად მან „ასტონ ვილა“ გააწბილა. მისი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა და „ნიუკასლმაც“ იმარჯვა.

ახალი ამბები სფფ-დან

ბაილანდს უარი არ შემოუთვლია

ცნობა იმის თაობაზე, რომ ტაილანდელები უპირონი გამოდგნენ და ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ამ ქვეყანაში სამეფო თასზე ფეხბურთელთა ტურნირში მონაწილეობაზე უარი შემოუთვალეს, გაზვიადებული და დასაზუსტებელი გამოდგა. სფფ დაუკავშირდა თავის აგენტს, რომელმაც განაცხადა, რომ ტურნირი გადაიდო, ჯერჯერობით ჩატარების ვადა არ დადგენილა და არც საქართველოს ნაკრების მონაწილეობაზე შემოუთვლიათ უარი.

ჩვენი ბავშვებიც გაიხარებენ

ბოლო მალე სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობა ძვირფასი საჩუქრით გაახარებს ნორჩ ფეხბურთელებს. სფფ-ს თხოვნით უეფამ ათეულობით საფეხბურთო კომპლექტი (ბურთები, ბუცები, გეტრები...) გამოგზავნა ბავშვთა საფეხბურთო გუნდებისათვის.

გაიხარებენ მსაჯებიც

ასევე სფფ-ს თხოვნით, უსასყიდლოდ მიღებულია ფიფა-უეფას მსაჯებისათვის სრული ეკიპირება 9 მსაჯისათვის. სწორედ ამდენ არბიტრს აქვს მინიჭებული საერთაშორისო საფეხბურთო მატჩების მსაჯობის ლიცენზია.

თვალს ყურიც დაეხმარება

ანუ ვერ დაინახე? ბაიბონე მაინც!

ხშირად გვინახავს გვერდითი მსაჯი აღმართავს ალამს, ენერგიულად იქნევს, რათა არბიტრმა მიაქციოს ყურადღება. გვერდითი მსაჯის „გამოძახებაზე“ ხშირად დაგვიანებით რეაგირებს მინდორზე მყოფი კოლეგა, რაც არაერთხელ ქცეულა გაუგებრობის მიზეზად და დავაც გამოუწვევია, აღარაფერს ვამბობთ, ტრიბუნების რეაქციაზე. ამიერიდან სიახლე დაინერგება და მათ შორის ჩვენშიც. მოწონებულია ნოვაცია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: გვერდითი მსაჯის ალამზე, კერძოდ, სახელურზე დამონტაჟებული ელექტროსიგნალის გადამცემი მოწყობილობა ღილაკით. მთავარი მსაჯის ყურადღების მისაპყრობად ლაისმენი ალამის აღმართვისას იმავდროულად ხელს აჭერს ღილაკს, რითაც სიგნალი გადაეცემა მსაჯს მინდორზე, რომელსაც, თავის მხრივ, სიგნალის მიმღები მიკროაპარატი სამკლაურზე აქვს დამონტაჟებული.

ასე რომ, ვერ დაინახე? გაიგონე მაინც!..

ხელის ელექტროგაბლო ჩვენთანაც შემოვა

შეუკვეთეს და სფფ რამდენიმე ხანში მიიღებს საგანგებო მოწყობილობას, რაც შეცვლაზე ფეხბურთელის მინდორზე გასვლის პროცედურასთანაა დაკავშირებული. ამიერიდან ჩვენში დაინერგება ხელის ელექტროტაბლო, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ მნიშვნელოვან, მათ შორის ეროვნული ჩემპიონატის ძირითად შეხვედრებისას გამოიყენებენ. ამავე დროს ხისტარიანი გვერდითი ალმები შეიცვლება დრეკადი მასით, რაც უკვე დიდი ხანია ბევრგან დაინერგა.

სფფ – ინტერნეტში!

მსოფლიო მოვლენები ოპერატიულად და თვალწინ! დღეს ასეთია ინტერნეტის შესაძლებლობები და ინფორმაციის ნაკადში ერთ-ერთი წამყვანი თემა მუდამაა სპორტი, კერძოდ, ფეხბურთი. ამ დღეებში ინტერნეტში გაჩნდება ახალი გვერდი, რომელიც სფფ-ს და მის ოპერატიულ ინფორმაციებს დაეთმობა.

ფეხბურთი ღევნილობაში – სფფ-ს საზრუნავი

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის სხდომა ამ დღეებში სფფ-ს და ეროვნული ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობის მონაწილეობით გაიმართა. ცხადია, აფხაზეთის ფეხბურთსაც უჭირს დევნილობაში და აღმასკომის სხდომაზე გამოცხადებულ სტუმართა სურვილიც დახმარების გაწევის სურვილი იყო. ითქვა კიდეც, რომ სფფ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს აფხაზეთის ფედერაციას, ამ თვის ბოლოს და მარტის დასაწყისში კი საქართველოს I და II ეროვნული ნაკრებები საქველმოქმედო მატჩებს გამართავენ აფხაზეთის ფეხბურთის დასახმარებლად.

ცოდნის ნყარო მსაჯთათვის

თბილისში, „შევარდენს“ სპორტულ კომპლექსში 40-ზე მეტი საფეხბურთო მსაჯი შეიკრიბა საგანგებო სემინარებზე, რომელსაც სფფ ატარებს. ყოველდღიურად სხვადასხვა ხასიათის და დატვირთვის 2-3 მეცადინეობა ორ კვირას გაგრძელდება, რის შემდეგ მოეწყობა გამოცდები და გაიცემა მსაჯობის ლიცენზიები იმის მითითებით, თუ ვინ რა რანგის თამაშებს მოემსახურება თავისი მომზადების დონით. სხვათა შორის, იგივე „კურსანტები“ იმსაჯებენ მიხეილ მესხის ტურნირზე.

„უმბრო“, „ნაიკი“ თუ „ლოტო“?

გრძელდება ეროვნული ნაკრები გუნდების ეკიპირებისათვის ახალი სპონსორების ძიება. ჯერჯერობით შერჩეულია სამი ფირმა „უმბრო“, „ნაიკი“ და „ლოტო“. მათთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება და სფფ საბოლოოდ დაადგენს, შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით, თუ ვისთან გააფორმოს ხელშეკრულება.

კანდიდატურები შეირჩნენ

სფფ-ში დასრულდა კონსულტაციები კომიტეტების ხელმძღვანელების კანდიდატურებთან დაკავშირებით. უახლოესი აღმასკომის სხდომაზე მათ ოფიციალურად დამტკიცებენ. სფფ ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად კომიტეტების თავმჯდომარეობა ძირითადად დაევალებათ აღმასკომის წევრებს, რაც საბოლოო ჯამში მათი 80 პროცენტია.

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში

იხ. მე-3 გვ.

უიმედო იანვარი

თვის მონაგარი

რატომ უიმედო? ქართულ სპორტთან კონტექსტში სიტყვა იმედი, სამწუხაროდ, თანდათან კარგავს შინაარსს და ყველაზე გამოკვეთილად იგი მაინც ახალი სპორტული სეზონის სტარტზე ანუ წლის პირველ თვეს იგრძნობოდა. ჩვეულებრივ ამ თვეში სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი მაინცდამაინც არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ რაც ტარდება, კონკრეტული მიზანი გააჩნია, ერთგვარად სასინჯი, ერთიანი სპორტული ციკლისთვის აუცილებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ამ გაგებით, ყველაზე უწინ, ძიუდოისტები ხვდებიან ხოლმე მსოფლიო სპორტული სამყაროს თვალთახედვის არეში. წლეულსაც, იანვრის დასაწყისში, იაპონიაში, სპორტის ამ სახეობის ფუძემდებლის ძ. კანოს (1860-1938) სახელობის ტრადიციული ტურნირი გაიმართა, სადაც ჩვენი ფალავნებიც მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, შინ ისინი უიმედოდ დაბრუნდნენ, რაც, ცხადია, შემაშფოთებელი იყო, მაგრამ შემდეგ მოსკოვში გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა დაგვანახვა, რომ იმედის გადაწურვა ნაადრევი იყო – საქართველოს ხუთი წარგზავნილიდან შინ ოთხი მედლით დაბრუნდა, ეს მაშინ, როცა მწვრთნელებმა უძლიერესების უმეტესობა, რომელთა შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებათ, შინ დატოვეს. საგულისხმო ის იყო, რომ სამი წლის პაუზის შემდეგ, ტატამზე კვლავ შედგა ფეხი ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმა და, როგორც უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხახალეიშვილის მიერ მოსკოვში მოპოვებული ოქროს მედლით იგი კმაყოფილია.

იანვარმა მსოფლიოს სპორტულ სამყაროს გააცნო რიგასს ქართველ ოსტატთა შესაძლებლობები. ჩვენთვის შედარებით ეს უცხო ხილი შესანიშნავად დააგემოვნეს მსოფლიო პირველობის ფინალში ზაზა ტყეშელაშვილმა და ძმებმა ბიწაძეებმა, სადაც მათ ჩემპიონობა და ოქროს მედლები ხვდათ წილად.

წლის პირველი თვე მოჭადრაკეთა ასპარეზობების პერიოდიც იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნინო ხურციძის წარმატება ათენში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში.

იანვარი ტრანსფერების თვეც იყო. ბევრმა ქართველმა ფეხბურთელმა მოძებნა უკეთესი ადგილი ევროპის საფეხბურთო კლუბებში, ზოგიერთიც თავად კლუბებმა მოძებნეს და ლეგიონერთა რიცხვი შესაკრებთა გადანაცვლებით, ცხადია, არ შეცვლილა, მაგრამ ახლებიც დაემატა. აქვე ვიტყვით, რომ ფეხბურთის ფედერაციამ თითქმის დაასრულა რეორგანიზაციის პროცესი, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები პრობლემების მოსაგვარებლად. აი, კალათბურთის ფედერაციამ კი, როგორც იქნა, მოაბა თავი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის განახლებას, აქ გარკვეულ იმედებს ახალ და ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტს დუდუ დადიანს უკავშირებენ. კიდევ ერთ ფედერაციაში მოხდა ცვლილება – საგანგებო ყრილობამ ველოსპორტში ახალი თავკაცი ბესარიონ ნადირაძე აირჩია წინამძღოლად. იანვრიდან სამოყვარულო კრივს გამოეთხოვა და პროფესიონალებში გადავიდა კიდევ ერთი ჩვენი ცნობილი მოკრივე კობა გოგოლაძე.

საშინაო სპორტული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მძლეოსანთა ზამთრის ღია პირველობა, რომელიც ფაქტობრივად სრულიად საქართველოს პირველობად იქცა წარმომადგენლობით. დიდი დამსახურება ამ ასპარეზობის ჩატარებაში თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს და პირადად მის უფროსს ვლადიმერ კანკავას მიუძღვის.

სათაურში უიმედობა გამოვიტანეთ. საქმე იმაშია, რომ ფინანსთა სამინისტრომ და ხაზინამ იანვარში გასაცემი თანხების მხოლოდ 5 პროცენტი გამოყო, რის გამო ბევრი ღონისძიება ჩვენი სპორტსმენების გარეშე ჩატარდა, თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდა, საქართველოს ათლეტები ვერც თებერვალში დაგეგმილ საერთაშორისო შეჯიბრებებში იასპარეზებენ.

თვის საუკეთესო სპონსორი «ვერიტა» და «სამორინე აჭარა»

იანვრის ბოლოს ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში ღირსსახსოვარი მოვლენა დაფიქსირდა – სასტუმრო „შერატონ მეტეხ პალასში“ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული საახალწლო რეფერენდუმის შედეგად გამოვლენილი საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გამართა. ასოციაციას მხარში დაუდგა ფირმა „ვერიტა“ და გენერალური სპონსორი – „სამორინე აჭარა“. იანვრის საუკეთესო სპონსორად „ლელოს“ რედაქციამ სწორედ ეს ორი ორგანიზაცია სცნო.

თემა განსჯისათვის

მიდიან...

ქართული სპორტი კადრებისგან ინრიბება

საქართველოს სპორტულ მოძრაობაში კადრების აბსოლუტური უმრავლესობა განათლების სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის სტრუქტურებსა და პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოება „შევარდენშია“ დასაქმებული. 90-იანი წლებიდან მოყოლებული სპეციალისტების დენადობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო და იგი ძირითადად ნაკარნახევი იყო უკეთესი შემოსავლის ძიებით. ასე გადაინაცვლეს თაობათა აღმზრდელებმა სხვა სფეროებში, სამწუხაროდ, პროცესმა დაუსრულებელი, მეტიც, უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო, რითაც განსაკუთრებით მოზარდთა აღზრდის სისტემა დაზარალდა – ბევრი სასკოლო თუ სკოლამდელი დაწესებულება დარჩა ფიზიკურ აღზრდის მასწავლებლის გარეშე, სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სპორტულ სკოლებში. ახლა კი ისეთი დროც დადგა, როცა ყველაზე თავგადადებული პატრიოტებიც ემშვიდობებიან საყვარელ საქმეს და აქ იმდენად დაბალი ანაზღაურება არაა მიზეზი, რამდენადაც თვეობით დაგვიანებული და უკვე გაუფასურებული ხელფასი. 10-12 თვეა მასწავლებლებს და მწვრთნელებს არ მიუღიათ გასამრჯელო, უიმედო ლოდინის ლიმიტიც, როგორც ჩანს, ამოიწურა და ისინი მასობრივად ტოვებენ სამუშაოს. და, რაკი ვაკანტური ადგილის მცნებაც გაქრა, საქმე სასკოლო ცხრილიდან ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ამოღებამდე და სპორტსკოლებში ჯგუფების გაუქმებამდე მიდის. აქედან გამომდინარე, სავალალო შედეგის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია. მაგრამ მთავარია, განსჯისთვის იმათ მოიცალონ, ვისთვისაც პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოებრივი მოვალეობაა და პასუხისმგებელია ერის სიჯანსაღეზე, ქვეყნისათვის ჰარმონიულად განვითარებული თაობების აღზრდაზე, ქართული სპორტის ტრადიციების დაცვა-გაღრმავებაზე...

ქვეყნის გარეთ გასულ მაღალკვალიფიციურ კადრებზე ადარაფერს ვამბობთ. მოკლედ, საქართველოში სპორტულ მოძრაობას თავისი მთავარი დასაყრდენი კადრები ეცლება და ამ პრობლემამ ყველა უნდა დააფიქროს.

მიმომხილველი

ჰოდლმა ენას კბილი ვერ დააჭირა

ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცი გლენ ჰოდლი ძალიან დიდ სკანდალში გაეხვია და შესაძლოა პოსტის დატოვებაც მოუხდეს. ჰოდლის ყოველი მხრიდან უტევენ და მას ჯერჯერობით არავინ ექომაგება. ის ისეთ მდგომარეობაშია, რომლისგანაც თავის დაღწევა შეუძლებელია, თუმცა ვნახოთ...

გაზეთ „TIMES“-ის 30 იანვრის ნო-

იხ. მე-3 გვ.

გასულ შაბათს, სასტუმრო „შერატონ მეტეხ პალასში“, სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული საახალწლო რეფერენდუმით გამოვლენილ საქართველოს 1998 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენს ღირსეული პატივი მიაგეს

VERITA

სამახსოვრო სურათი რჩეულებთან

რჩეულთა მაგიდასთან

გიორგი ასანიძეს ულოცავს ჯანო ბაგრატიონი

კობა გოგოლაძე კონცერტშიც ჩაერთო

საპატიო სტუმრები – როზა ბერიკაშვილი და ნანა ალექსანდრია

კობა გოგოლაძე რჩეულ ჟურნალისტებთან

„რუსთავი-2“ ყველგან საქმეშია...

გიორგი ასანიძე, ელგუჯა ბერიშვილი, ზაზა ინწკირველი

სალამოს უძღვებოდა... თემურ ჯაფარიძე



მხიარული და საქმიანი საუზრები

Sheraton Metechi Palase

მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით, დაიწყო მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობენ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მოასპარეზე გუნდები (ბათუმის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ფოთის „კოლხეთი-1913“-ის გარდა – ისინი მომზადებას გადიან საკუთარი პროგრამით).

ოთხ ჯგუფად დაყოფილი გუნდები წრიული სისტემით ატარებენ თამაშებს.

ტურნირი არასასიამოვნო ფაქტით დაიწყო – ფინანსური პრობლემების გამო, თბილისში ვერ ჩამოვიდა ლანჩხუთის „გურია“. შორშან შემოდგომაზე გურულებმა ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ორი მატჩი გააცდინეს, რის გამოც დებულებით შეჯიბრებებიდან მოხსნას იმსახურებდნენ, მაგრამ სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ლანჩხუთელთა გასაჭირს და გუნდის მკაცრი გაფრთხილებით შემოიფარგლა. სამწუხაროდ, შეგონება შეგონებად დარჩა. „გურიას“ ჩამოუსვლელობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მიხეილ მესხის ტურნირის ორგანიზატორები. გადაწყვეტილება მაინც მიიღეს – მეოთხე ჯგუფში „არსენალი“ – „სიონი“ ორ მატჩს გამართავენ. გუშინ კი ამ გუნდების პირველი შეხვედრა ჩატარდა.

ტურნირის მთავარი პრიზები

არსენალი (თბილისი) – სიონი (ბოლნისი) 3-2.

არსენალი: კუპატაძე, დავითაშვილი, კ. ჯაფარიძე, ზ. მეტრეველი, კაპანაძე, მაჩაიძე, ვ. გაგუა, კვარაცხელია, ეგაძე, ჩხაიძე გოცირიძე, ჩარკვიანი, რობაქიძე.

სიონი: დალაქიშვილი, გოდერძიშვილი, არჩვაძე, ყიფშიძე, სამხარაძე, დ. ჯაფარიძე, ჩალაძე, გოგოლაძე, დვალიშვილი, ჯაგიდისი, მოსეშვილი, შეყლაშვილი, ლ. გაგუა, ე. ჯაფარიძე, სულთანოვი.

გოლები: 0-1 ჯაგიდისი (14), 1-1 ეგაძე (20), 1-2 ჯაგიდისი (25), 2-2 ჩხაიძე (28), 3-2 ჩარკვიანი (29).

მსაჯი: მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

„სიონმა“ თავდაპირველად უპირატესობას მიაღწია ვეტერან ჯაგიდისის გარჯის წყალობით, შემთხვევითი არაა, რომ სწორედ მან გაიტანა ბოლნისელთა მხრიდან ორივე გოლი. „არსენალი“ თანდათან გაერკვა სიტუაციაში და უკვე მეორე ტაიმში „სიონის“ ლიდერს მკვეთრად შეუჯღუდეს მოქმედების არეალი. ამან კი საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ არმიელებმა ამ ტურნირში საასპარეზოდ ახალგაზრდული გუნდი გამოიყვანეს, რაც შეეხება „სიონს“, იგი საბრძოლო შემადგენლობით ასპარეზობს.

ბორდა (რუსთავი) – უნივერსიტეტი (თბილისი) 1-3

III ჯგუფი

ბორდა: ბედიაშვილი, გაბელაია, მ. სახვაძე, პატარიძე, დ. მენთეშაშვილი, კ. ალადაშვილი, ზირაქაძე, მჭედლიძე, კალმახელიძე, რ. მახარაძე, ბერიძე, ლ. ალადაშვილი, ლაბაძე, შ. მეტრეველი, კიტეიშვილი.

თსუ: გ. გაბელია, გონჩაროვი, ვ. ღუდუშაური, თ. კობიაშვილი, შენგელია, ი. ხუჯაძე, ნინუა, მადრაძე, სვანაძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი, მერლანი, ზამთარაძე, ბუკია.

მსაჯი: ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).

გოლები: 1-0 კ. ალადაშვილი (15), 1-1 შენგელია (18), 1-2 როსტიაშვილი (27), 1-3 შენგელია (29).

გაფრთხილება: ხუჯაძე.

ეს იყო თანაბარი სიძლიერის გუნდების მატჩი. ყველაფერი უნივერსიტეტელ გიორგი შენგელიას ოსტატობამ გადაწყვიტა. სახელოვანი მამის შვილმა, რომელიც „დინამომ“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა სტუდენტთა გუნდში, ლამაზი გოლები გაუტანა რუსთაველებს.

ოდიში (ზუგდიდი) – სამგურალი (წყალტუბო) 3-6

II ჯგუფი

ოდიში: გოგია, ბარქაია, აკობია, აფაქიძე, იოსავა, გოგოხია, გოგუჩია, ვახანია, კუტალია, ტაბაღუა, შელია, ივარდავა, მეგობია, ჭურღულია, ჯოლია, იზორია, მარკოზია.

სამგურალი: ხაჩირაშვილი, ხაჭაპურიძე, ბურნაძე, ლ. ქობულაძე, ჯავახაძე, ჯანელიძე, მახვილაძე, ახალაძე, ჭინჭარაძე, ენდელაძე, ღონღაძე, ბობოხიძე.

მსაჯი: ვახტანგ ჩოჩიშვილი (თბილისი)

გოლები: 0-1 ენდელაძე (7), 1-1 ბარქაია (15), 2-1 ტაბაღუა (16), 2-2 ენდელაძე (20); 2-3 მახვილაძე (29), 2-4 ენდელაძე (34), 2-5 ჯანელიძე (32), 2-6 ჭინჭარაძე (33), 3-6 ბარქაია (38).

გაფრთხილება: აფაქიძე, ხაჭაპურიძე.

დარსაძის შეგირდებმა აშკარად დაჯაბნეს ზუგდიდელები. განსაკუთრებით პროდუქტიულად ენდელაძე გაისარჯა, რომელიც სულ ახლახან ოდიშელთა ღირსებას იცავდა. თვალშისაცემია წყალტუბოელთა კარგი ფიზიკური კონდიციები. აშკარაა, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეს ისინი მომზადებული ხვდებიან.

მერანი-91 (თბილისი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 0-6

I ჯგუფი

მერანი-91: ნაჭყეპია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, დევიძე, ხარებავა, დ. ჯიშკარიანი, გ. კვეტენაძე, ჩანადირი, ჭინჭარაული, ხუციშვილი, გელა ქორიძე, ლომაია.

ვიტ-ჯორჯია: ჭურაძე, უგულავა, ჯ. მუჯირი, ქუთათელაძე, ბოჭორიშვილი, მაზიაშვილი, ლ. ნოზაძე, დუნდუა, თ. ბოკერია, ზ. გვაზავა, დოლიძე, ა. ბოკერია.

მსაჯი: ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი).

გოლები: 0-1 მაზიაშვილი (16), 0-2, 0-3 ა. ბოკერია (24,30), 0-4 ნოზაძე (31), 0-5, 0-6 მაზიაშვილი (36, 38).



რუბენ რუხკიანის ფოტოები

გაფრთხილება: ქორიძე, ქუთათელაძე.

ვეტერინართა გუნდმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა მიხეილ მაზიაშვილი, რომელიც სამგურალელ ზვიად ენდელაძესთან ერთად ბომბარდირთა სიას ჩაუდგა სათავეში.

როგორც აღვნიშნეთ, ტურნირს ხელმძღვანელობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ასპარეზობის ორგანიზაცია მაღალ დონეზეა. ერთია საწყენი – მაყურებელთა სიმცირე...

ჯემალ ჭიკაშვილი

ჰოდლმა ენას კბილი ვერ დააჭირა

(პირველი გვერდიდან)

მერში დაიბეჭდა ინტერვიუ გლენ ჰოდლთან. ეროვნული გუნდის თავკაცმა ორდინარული ფრაზების გარდა, ისიც წამოროშა, რომ ინვალიდები ანუ შრომისუუნარო ადამიანები ცხოვრებაში ჩადენილი სხვადასხვა ცოდვების გამო არიან დასჯილნი.

ჰოდლის „სიბრძნემ“ ძალიან მწვავე რეაქცია გამოიწვია ინგლისის როგორც საფეხბურთო, ასევე არასაფეხბურთო საზოგადოებაში. ინვალიდთა დამხმარე ასოციაციის თავკაცები, რა თქმა უნდა, ამით ძალიან აღშფოთებულები არიან. უკმაყოფილება გამოთქვა სპორტის მინისტრმა ტონი ბენკსმაც. მისი აზრით, ჰოდლმა შეურაცხყოფა მიაყენა ყველა ინვალიდს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მაღალჩინოსნებიც ერთობ შეწუხებულნი არიან მომხდარით. აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორმა დევიდ დევისმა განაცხადა, რომ პირადად ესაუბრება ამის თაობაზე ნაკრების მწვრთნელს. მაგრამ საზოგადოებრიობა ანუ კონსერვატორული ინგლისის საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ გლენ ჰოდლის ეროვნული გუნდიდან მოკვეთას მოითხოვს. განსაკუთრებით განათლებისა და შრომის მინისტრი მარგარეტ ჰოდჯი აქტიურობს.

„მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ რაც ვთქვი, ასე არ არის. მე არასწორად გამოვთქვი ჩემი აზრი, მე არასწორად გამიგეს“ – თავს იმართლებს ჰოდლი.

გაზეთ „Mirror“-ის გუშინდელი ნომრის ცნობით კი გლენ ჰოდლმა უკვე გადაწყვიტა წავიდეს ნაკრებიდან.

ვნახოთ, რა მოხდება.

სტეფანია საქმეს შეუდგა

უცხოეთის საინფორმაციო საგენტოების ცნობით, გასულ შაბათს შედგა ქართველი კალათბურთელის ვლადიმერ სტეფანიას დებიუტი ნბა-ში. მისმა სიეთლი „სუპერსონიქსმა“ ამხანაგური მატჩი დათმო „პორტლენდთან“ 81:108 სტეფანია სასტარტო ხუთეულში დაუყენებიათ, მაგრამ 6 საჯარიმოს გამო 12 წუთში დატოვა მოედანი. ამ დროისათვის მისი მონაგარი იყო 4 ქულა და ორჯერ ბურთის მოხსნა საკუთარ ფართან.



კალათბურთი ● ვაჭთა ეროვნული ჩემპიონატი

ვერის ბალში გრძელდება მეორე წრის მატჩები.

XI ტური. ასკ – დინამო 75:81, ვითა – შევარდენი 83:58, კოლხა – სტუ 80:86, სდასუ – თსუ 76:74. აზოტი – მაკაბი 79:74.

სატურნირო მდგომარეობა:

	თ.	მ.	წ.	ქ.
აზოტი	11	11	0	22
სტუ	11	9	2	20
თსუ	11	7	4	18
ვითა	11	7	4	17
დინამო	11	6	5	17
სდასუ	11	6	5	17
შევარდენი	11	4	7	15
კოლხა	11	3	8	14
მაკაბი	11	2	9	13
ასკ	11	0	11	11

შენიშვნა: „ვითას“ დაკლებული აქვს 1 ქულა.

ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა

ველოსპორტი ძვირადღირებული სიამოვნებაა

სწორედ ასეთ „რეგისტრში“ წარიმართა საუბარი ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე გასულ პარასკევს. იგი სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით ორმაგ ხარჯებს მოითხოვს, თუნდაც იმ ელემენტარულ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ეკიპირება ჰქვია.

ხშირად გვსმენია ობივატელური ფრაზა – „გადაუგდე ბავშვს ბურთი და თამაშს თვითონ ისწავლის“... შეიძლება ასეთ ეგრეთწოდებულ ველურ ფეხბურთში ბევრი ოსტატი გამოწრთობილა, მაგრამ ასეთი კრიტერიუმით ველოსიპედისტს ვერ გაზრდი, თანაც ისეთს, რომელიც რაიმე თვალსაჩინო შედეგს რომ მიაღწიოს. მას პირადი ეკიპირების, საკმაოდ ძვირფასი უცხოური ველოსიპედის გარდა, ასევე ძვირადღირებული საბურავი და სათადარიგო ნაწილები სჭირდება. აღარაფერს ვამბობთ დამხმარე ტექნიკაზე – მოტოციკლზე, მიკრო ავტობუსზე, რომლითაც სავარჯიშოდ შარაზე გასულ მრბოლს თან უნდა ახლდეს მწვრთნელი. ყველაფერი ეს არახალია, მაგრამ იმ მწირ ეკონომიკურ პირობებში, რაც ჩვენშია, მაღალი კლასის ველოსიპედისტის აღზრდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. და მაინც, ველოსპორტი საქართველოში დღეს მაინც არსებობს, წარმოიდგინეთ, საერთაშორისო შეჯიბრებებშიც ვმონაწილეობთ კიდეც... სხვა საკითხია რის ხარჯზე. ეს არის ის მინიმალური თანხა, რასაც სპორტის დეპარტამენტი დროდადრო გაიღებს ხოლმე, რაც უცხოეთში ასპარეზობაზე მიწვეულ ველოსიპედისტებს სამგზავრო ხარჯების ასანაზღაურებლად ჰყოფნით. რაც შეეხება ამ ტურნირებისათვის მოსამზადებელ შეკრებებს, ეს ფუფუნება ჩვენმა მრბოლებმა კარგა ხანია დაივიწყეს. ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ ქვეყნის შიგნით გადაადგილება, შიდაშეჯიბრებაში მონაწილეობისათვის დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული და სპორტსმენები თავიანთი ჯიბის თანხით იძენენ ბათუმში, თუ თბილისში რომ ჩაიღწიონ. ამ მხრივ თბილად მოიხსენიეს აჭარაში მომუშავე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლაი ზოლოტარიოვი, რომელმაც აჭარის ღია პირველობაზე მიწვეულ ქუთათურ მრბოლებს გზის ხარჯიც გაუნაღდა. ხელმოკლეობის გამო ხშირად ქუთაისელი ველოსიპედისტების გარდა, ვერ ჩამოდიან დედაქალაქში საასპარეზოდ ლაგოდეხელი სპორტსმენებიც.

არადა, ველოსპორტი რომანტიკული სახეობაა, რომლის საუკეთესო ტრადიციებია ჩვენში. ისევ ამ ტრადიციის, რომელსაც ომარ ფხაკაძე, ოთარ დადუნაშვილი და სხვები და სხვები ჰქმნიდნენ, ძალითაა, რომ დღეს რბოლის ბილიკები ასე ძალუმად ეზიდება თავისკენ გოგო-ბიჭებს, რასაც ხელშეწყობა უნდა. ჩვენ კი, ისევ ძველის ინერციით ვარსებობთ და თუ ასე გაგრძელდა ეს ინერცია, ბოლოს და ბოლოს შეწყვეტს სვლას.

ამის პირობა, პირველ ყოვლისა, ველოჯგუფების შემცირებაა, რაც უკვე საგრძნობი გახდა. დღეს ფაქტობრივად ეს სახეობა მხოლოდ „შევარდენის“ „მართვესა“ და თბილისის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელშია დანერგილი...

ზემოთ ტრადიცია ვახსენეთ. ვფიქრობთ, სწორედ მისი წყალობაა, რომ აჭარაში ველოსპორტს ყურადღება ექცევა და ისიც იმიტომ რომ აჭარამ შესანიშნავი მრბოლი ქალები ნატა სამბაშიძე და სტელა პრიახინა მისცა ქართულ ველოსპორტს, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო პირველობებში და ნაკრებშიც ირიცხებოდნენ. სამწუხაროდ, ახლა ქალებს საერთოდ ველარ შეხვდებით ჩვენს ველოტრასებზე... გაუქმდა ქალთა სექციებიც. ცხადია, ყრილობაზე სრულად არ ითქვა იმ ტკივილებზე, რაც ჩვენს ველოსპორტს აწუხებს, ამუხრუჭებს და უკან სწევს მას. ამიტომ ყრილობაზე ახალი პრეზიდენტიც უნდა არჩეულიყო. დელეგატებმა მოისმინეს რა პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის (სულ სამი კანდიდატი იყო) ბესარიონ ნადირაძის საპრეზიდენტო პროგრამა, მხარი დაუჭირეს მას და აირჩიეს პრეზიდენტად.



***ბესარიონ ნადირაძე:** დაბადებულია თბილისში – 1962 წელს. ჰყავს ოჯახი, მეუღლე და ქალ-ვაჟი. უმაღლესი ფიზკულტურული განათლებითაა, 1973-84 წლებში იყო მოქმედი ველოსიპედისტი, საქართველოს ნაკრების წევრი. სპორტის ოსტატია, 1986-90 წლებში მსახურობდა მწვრთნელად თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში. ეროვნული გვარდიის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ლეგიონის მეთაურის მოადგილე იყო, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ეწევა მცირე ბიზნესს.*

უ. ჭიჭინაძე

ქართული ლეგიონის ამბები

პირველი ქართველი „MLS“-ში

დავით მუჯირი

შაბათს დილით აშშ-ს, უფრო ზუსტად, ნიუ-იორკში გაფრინდა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი *დავით მუჯირი* — იგი კარიერას გააგრძელებს ნიუ-ჯერსის „მეტროსტარზში“. ამ ფეხბურთელის ირგვლივ ბოლო ხანს დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი და ამის შესახებ „ლელოც“ იტყობინებოდა. მას ეპატიჟებოდნენ „სერია-A“-ს სახელგანთქმული „იუვენტუსი“ და „ბოლონია“, მაგრამ იმ პირობით, თუ გარკვეულ პერიოდს ამ კლუბების ახალგაზრდულ გუნდებში ითამაშებდა. ამავე დროს გაჩნდა „მეტროსტარზის“ ვარიანტიც. ამ გუნდს სათავეში უდგას სახელგანთქმული სერბი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი. მას ვიდეოკასეტაზე გადაღებული მუჯირის რამდენიმე თამაში უნახავს და იმთავითვე მოწვევა გამოუგზავნია — ჩამოდი, ორწლიან კონტრაქტს გთავაზობო. დიდი განსჯის შედეგად, რომელშიც, ცხადია, მამამისიც, დავით მუჯირი მონაწილეობდა, ფეხბურთელმა „მეტროსტარზი“ აირჩია.

ახლა ყველაფერი თვითონ დათოზეა დამოკიდებული. მისი ახალი კლუბი დღეს ორი კვირით მექსიკაში მიემგზავრება შეკრებაზე, შემდეგ ერთი კვირით დაბრუნდება აშშ-ში, მერე კი იტალიაში გაფრინდება. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, „MLS“-ის ლიგაში, სადაც „მეტროსტარზი“ გამოდის, სატრანსფერო სეზონი 15-28 თებერვალშია და სწორედ ამ დროს მოაწერს ხელს ქართველი ლეგიონერი კონტრაქტზე.

ცნობისათვის, „მეტროსტარზი“ სათავეში უდგას გათამაშებას და ბორა მილუტინოვიჩის რწმენით, გუნდს შესწევს ძალა კვლავ გახდეს აშშ-ს ჩემპიონი.

საქართველოს ნაკრები: მინუს იაშვილი. პლუს შოთა არველაძე

უსიამო ამბავი გვამცნო გერმანულმა „კიკერსმა“ — ექიმთა განაჩენით „ფრაიბურგის“ წამყვანი ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი ამ დღეებში კლინიკაში დაწვება მუხლის ოპერაციის გასაკეთებლად. სავარაუდოდ მას სეზონი გაუცდება. იგი არამარტო გერმანულ კლუბს დააკლდება, რაც მთავარია, ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩს ჩაატარებს სლოვენიისა და საბერძნეთის გუნდების წინააღმდეგ.

იმავდროულად, დამაიმედებელი ცნობები მოდის ჰოლანდიიდან. რამდენიმე დღის წინ ექიმთა კონსილიუმმა ნება დართო შოთა არველაძეს გააგრძელოს ვარჯიში „აიაქსში“, არადა, ადრე იტყობინებოდნენ, რომ ქართველი ლეგიონერი ტრავმირებულ მუხლზე ოპერაციას ვერ გადაურჩებაო.

ბოსმანს ჩვენთვის არ უბრძოლია, აი, როცა ევროკავშირში შევალთ...

ევროსაბჭოში მიგვიღეს და ჩვენს ფეხბურთელებზეც ბოსმანის წესიც გავრცელდებაო — ასე ფიქრობს ზოგიერთი ქართველი გულშემატკივარი, მაგრამ საქმე ჯერჯერობით სხვაგვარადაა. მთავარი კი ის არის, რომ ევროსაბჭო და ევროკავშირი ერთი და იგივე არაა. ბოსმანის წესი (კონტრაქტის ვადის დამთავრების შემდეგ მოთამაშე ავტომატურად თავისუფალი აგენტი ხდება და მას სხვა კლუბში გადასვლა ერთი ცენტიც არ დაუჯდება) მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირელებზე ვრცელდება.

სხვათა შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების მესვეურებმა ამას წინათ მოსკოვში ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან შეხვედრაზე სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრეს — აღმოსავლეთევროპელ ფეხბურთელებზეც იგივე წესები უნდა ვრცელდებოდეს, როგორც სხვებზეო. სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით (საქართველოდან იგი ესწრებოდა ამ შეხვედრას), ბლატერი გაგებით შეხვდა ექს-სსრ კავშირელების ამ წადილს და პირობა მოგვცა ამ საკითხს უეფას წინაშე დავაყენებო.

პირველი გოლი — „იუვენტუსის“ კარში!

21 წლის ეკვადორელ თავდამსხმელ ხაიმე კავიედესს ფეხბურთის სამყაროში ბევრი არავინ იცნობდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ იგი მსოფლიოში 1998 წლის სეზონის საუკეთესო ფორვარდად გამოაცხადა.

მან ეკვადორის პირველობის 43 მატჩში 43 გოლი გაიტანა, რითიც გასაგებია, მრავალი კლუბის ყურადღება მიიქცია. ყველაზე უკეთ „პერუჯა“ დაფაცურდა და უკვე იანვარში კავიედესი იტალიის „სერია A“-ს ამ კლუბში ჩაირიცხა. მას გადასცეს მაისური 33-ე ნომრით, თუმცა, ალბათ, უფრო 43-ე ნომერი შეეფერებოდა.

იტალიაში გადასულ უცხოელ თავდამსხმელებს ყოველთვის როდი უმართლებთ, იმდენი გოლი ვერ გააქვთ, რამდენიც, ვთქვათ, საკუთარი ქვეყნების ჩემპიონატებში. კალიედესი, ეტყობა, ამ მხრივაც გამონაკლისია. მას პირველი მატჩის ჩატარება „პერუჯას“ შემადგენლობაში ტურინში მოუხდა „იუვენტუსის“ წინააღმდეგ და თუმცა საბოლოოდ „იუვენტუსმა“ გაიმარჯვა (2-1), სტუმრების ერთადერთი გოლი სწორედ კალიედესის ანგარიშზეა.

ტრიუმფული დაბრუნება

ბოლივიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებების შეხვედრა (0-0) ფეხბურთის სამყაროსთვის განა რა დიდი მოვლენა იყო, მაგრამ მას ამერიკელი კომენტატორები მაინც დიდი მოწონებით შეხვდნენ. საქმე ის არის, რომ აშშ-ს ნაკრების ხელმძღვანელობამ აქამდე ვერ იყო და ვერ მოძებნა საიმედო მეკარე, მრავალნაცადი ტონი მეოლა კი, მათი სიტყვით, „ტრიუმფულად დაბრუნდა“.

იოლზე იოლია

სამხრეთ კორეისა და იაპონიის ხელისუფლები შეთანხმდნენ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სავიზო რეჟიმის თაობაზე. მოთამაშეების, მწვრთნელების, ხელმძღვანელებისა და ჟურნალისტებისათვის ამ ქვეყნებში შესასვლელად საჭირო იქნება სულ მარტივი რამ — პირადობის მოწმობის წარდგენა.

რივალდო „ბარსელონასათვის“ მეგობა, პიდრე რონალდო

თუ ადრე „ბარსელონაში“ რონალდო ბრწყინავდა, ახლა მიმომხილველთა აზრით, ლიდერის როლს კიდევ უკეთესად რივალდო ასრულებს. გუნდის ახლანდელ წარმატებებში როცა „ბარსა“ სატურნირო ცხრილის შუაგულიდან ლიდერობის პოზიციამდე ავიდა, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა დიდი როლი შეასრულა. ჯერ ერთი, მას ბევრი გოლი გააქვს — 12 ბურთით სნაიპერთა შორის პირველ ადგილზეა. მეორე კი ის გახლავთ, რომ იგი თამაშის უკეთესი ორგანიზატორია, ვიდრე რონალდო. აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს — რივალდო ფიზიკურად მეტად ძლიერია და თითქმის არ ავადმყოფობს.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, რონალდომ თავის დროზე ვერ შეძლო დახმარებოდა „ბარსელონას“, რათა ის ჩემპიონი გამხდარიყო. ახლა კი რივალდომ, თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, უნდა შეძლოს ამ ამოცანის გადაწყვეტა.

„ფეირ პლეის“ ლაურეატები

ფიფამ „ფეირ პლეის“ პრიზი 1998 წლისათვის ერთბაშად სამ: აშშ-ს, ირანისა და ჩრდ. ირლანდიის ფედერაციებს მიანიჭა. პირველი ორი ნაკრები დაჯილდოვებულია საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში მათი უშუალო მატჩში „სანიმუშო საქცეელისათვის“. ისე კი, ამ შეხვედრას ნაკრებთა ქვეყნებს შორის არსებული მეტად დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის გამო შიშით მოელოდნენ.

ჩრდილოირლანდიური ფედერაცია დაჯილდოვდა იმ ცდის გამო, რასაც იგი იჩენს კათოლიკებისა და პროტესტანტების შერიგებაში.

ორი კონტრაქტი ერთდროულად

რუსი ნახევარმცველი ვლადისლავ რადიმოვი ბოლო წლებში ესპანურ „სარაგოსაში“ თამაშობდა და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ ამ კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელისათვის ხელი არ შეუშლია დაედო კონტრაქტი მოსკოვის „დინამოსთან“, რომელიც ძალაში 1999 წლის 10 დეკემბრამდე იქნება. ამავე დროს რადიმოვმა გაგრძელა თავისი ხელშეკრულება „სარაგოსასთან“ 2003 წლამდე.

როგორც მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხი ფიქრობს, ისეთი კლასის ფეხბურთელი, როგორიც რადიმოვია, მის კლუბს კარგად დაეხმარება, ლიდერის როლს შეასრულებს, ხოლო რუსეთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ისევ ესპანეთში დაბრუნდება.

მწვრთნელს მაისურს ნუ ესვრი

ნიგერიელმა ტარიბო უესტმა „ინტერის“ ახალ მწვრთნელ რუმინელ მირჩა ლუჩესკუსთან საერთო ვერ გამონახა და გუნდის დატოვებას აპირებს. კონფლიქტი მაშინ დაიწყო, როცა ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩში უესტმა, რომელიც, მისი აზრით, უსამართლოდ შეცვალეს, მინდვრიდან გამოსვლისას თავისი მაისური მწვრთნელს ესროლა. შემდეგ მან ბოდიშის მოხდა არ მოინდომა და განაცხადა, რომ მეტს აღარ ითამაშებს. „ღმერთმა ფეხბურთის „ვარსკვლავად“ გამაჩინა, ეს მწვრთელი კი ცდილობს ჩემს კარიერას ხელი შეუშალოს. მე ხომ ძალიან კარგად ვთამაშობ და მალე კვლავ მივიქცევ ყურადღებას“.

„ნიუკასლი“ მზად არის ტარიბო ვესტში 4,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

ბევრი ფეხბურთელი გამსახიობდა

ამ ბოლო ხანებში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გამსახიობდა. კინოფილმებში მიიღეს მონაწილეობა ხრისტო სტოიჩკოვმა, გაბრიელ ბატისტუტამ, ივან სამორანომ. უკანასკნელი ცნობებით, მათ მალე დავით ჟინოლაც შეუერთდება. მას აქამდეც არ ასვენებდნენ სარეკლამო პროდუქტები, ახლა კი ფრანგ ფეხბურთელს მხატვრულ ფილმში მონაწილეობა შესთავაზა ბოლო გამოჩენილმა ესპანელმა კინორეჟისორმა, პედრო ალმოდოვარმა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

როცა რობერტო ბაჯო მინდორზეა

რონალდო ავადმყოფობის გამო არ თამაშობს, მაგრამ „ინტერის“ გულშემატკივრებს შეექმნათ ისეთი შეხედულება, რომ იგი საჭიროც არ არის, როცა მინდორზე რობერტო ბაჯო გამოდის. რობერტოს წინათაც ჰქონია დიდი მიღწევები, მაგრამ ეს სეზონი მისთვის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა. ბაჯოს თვითონაც ბევრი გოლი გააქვს, ახლა რამდენ საგოლე სიტუაციას ქმნის! მისი გადაცემები ხომ მილიმეტრამდე გამოზომილია.

თუმცა ჯერჯერობით „ინტერი“ ლიდერ „ფიორენტინას“ საგრძნობლად ჩამორჩება, მაგრამ გულშემატკივარი, რის გულშემატკვიარია, რომ ასე ადრე ხელი ჩაიქნიოს. მას სწამს, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და „ინტერი“ შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას.

ლუიჯი სიმონის შეცვლა მირჩა ლუჩესკუთი კარგი გამოდგა — გუნდმა უკეთ დაიწყო თამაში.

ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები

ინგლისი

XXIII ტური. ნიუკასლი — ასტონ ვილა 2-1 (მასპინძელთაგან მეორე ბურთი ქეცბაიამ გაიტანა), ბლეკბერნი — ტოტენჰემი 1-1, ქოვენთრი — ლივერპული 2-1, ევერტონი — ნოტინგემი 0-1, მიდლსბრო — ლესტერი 0-0, შეფილდი — დერბი ქაუნთი 0-1, საუთჰემპტონი — ლიდსი 3-0, უიმბლდონი — ვესტ-ჰემი 0-0, არსენალი — ჩელსი 1-0, ჩარლტონი — მანჩესტერ იუნაიტედი 0-1. მანჩესტერი — 44 ქულა, ჩელსი, ასტონ ვილა — 43-43.

იტალია

XIX ტური. რომა — ემპოლი 1-1, უდინეზე-ბოლონია 2-0, პიაჩენცა — ინტერი 0-0, კალიარი — იუვენტუსი 1-0, ბარი — ლაციო 1-3, მილანი — სალერნიტანა 3-2, პერუჯა — სამპდორია 2-0, პარმა — ვენეცია 2-2, ფიორენტინა — ვიჩენცა 3-0. ფიორენტინა — 44 ქულა, ლაციო — 38, მილანი — 36.

ესპანეთი

XX ტური. ატლეტიკო — ვალენსია 1-2, ოვიედო — სოსიედადი 2-1, მალიორკა — სალამანკა 1-0, ვილიარეალი — რეალი 0-2, ბილბაო — სარაგოსა 2-0, ბეტისი — ალავესი 1-0, ტენერიფე — ესპანიოლი 0-0, დეპორტივო — სელტა 2-1, ვილიადოლიდი — ესტრემადურა 0-0, ბარსელონა — რასინგი 3-2. ბარსელონა — 37 ქულა, ვალენსია — 36, მალიორკა — 35.

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონებთან შესახვედრად

კიევში გაიმართა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-კონფერენცია. როგორც ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ვიქტორ ბანიკოვმა განაცხადა, შარშანდელი სეზონი უკრაინელებისათვის ნამდვილად ურიგო არა ყოფილა. „ფრანს ფუტბოლის“ ევრორეიტინგში უკრაინა მეცხრე ადგილზეა, ევროტურნირებში კიდევ ერთი გუნდის მონაწილეობის უფლება მიიღო, ევროპის 2000 წლის პირველობის ყველა შესარჩევი მატჩი მოიგო. შემდეგ მან ილაპარაკა მიმდინარე სეზონის პერსპექტივებზე.

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოჟეფ საბომ განაცხადა, მისი მოთამაშეები 16 მარტს კიევში შეიკრიბებიან, 20 მარტს კი (უკვე მას შემდეგ, რაც კიევის „დინამო“ მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგაში თავის მეორე მატჩს გამართავს) *ნაკრები თბილისში გაფრინდება, სადაც ამხანაგურ მატჩში შეხვდება საქართველოს ნაკრებს.* თბილისიდან კიევში დაბრუნების შემდეგ კი დაიწყება კონკრეტული მზადება ფრანგებთან პარიზში (27 მარტს) და ირლანდიელებთან კიევში (31 მარტს) შესახვედრად. აი, სწორედ ამ ორმა მატჩმა უნდა გადაწყვიტოს, ითამაშებენ თუ არა უკრაინელები ევროპის 2000 წლის პირველობის ფინალში.

ასეთ სიტუაციაში ნაკრების ხელმძღვანელობას ძირითადად იმისი იმედი აქვს, რომ ფეხბურთელები კარგად მოემზადებიან თავიანთ კლუბებში. საბოს აზრით, 1999 წელს ნაკრებში უმთავრესად ის ფეხბურთელები ითამაშებენ, ვინც უკვე მონაწილეობდა შესარჩევ მატჩებში, მათ რიცხვში ცნობილი უკრაინელი ლეგიონერები: სკაჩენკო, სკრიპნიკი, მაქსიმოვი და „მათზე მიმხრობილი“ კალიტვინცევი.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა რწმენა გამოთქვა, რომ ნაკრები კარგად მოემზადება ფრანგებთან შესახვედრად.

ლიდება მისი სახელი იყო

„სლავა ვ ზენიტე სლავი“ – ასეთი სათაურით დასტამბა გაგრის საქალაქო გაზეთმა „ავანგარდმა“ ჩემი პირველი ნაცნობობა სლავა მეტრეველთან, რომელიც იმხანად ახალი დაბრუნებული გახლდათ შვეიცის მსოფლიოს VI ჩემპიონატიდან. ზემოაღნიშნული საგაზეთო წერილი შემდგომ სოჭის საუურორტო გაზეთმა „ჩერნომორსკაია ზდრავნიცამაც“ გამოაქვეყნა რამდენადმე შემოკლებით. საერთოდ, აღნიშნული გაზეთი სლავა მეტრეველს დიდ ადგილს უთმობდა თავის ფურცლებზე, როგორც თანაქალაქელ ფეხბურთელს და ტყავის ურთის უბადლო ოსტატს... ბევრი საფეხბურთო ქვეყანა ინატრებდა სლავასნაირ ფეხბურთელს, რათა შემდგომ თამბებისთვის გადაეცათ მისი სახელი და დიდება, ასეთი ქვეყნები სლავა მეტრეველს ალბათ ოქროს ძეგლსაც დაუდგამდნენ... ჩვენთან კი იგი რიგითი მოშაკვდავი ფეხბურთელივით წავიდა ამქვეყნიდან. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სლავა მეტრეველი მწვანე მინდორზე, ალბათ არასოდეს დაავიწყდება იგი. ასევე დაუვიწყარი იყო იგი მოედნის გარეთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ლაღი, დაუზარელი, ხალისიანი...

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდგომაც ხშირად ჩამოდიოდა ლესელიძეში დასასვენებლად. ასევე ხშირად სტუმრობდა პანსიონატ „სპორტს“ ნონა გაფრინდაშვილი. იმ ხანებში სპორტულ ბაზაზე შეკრებაზე იმყოფებოდა თბილისის „დინამო“ და ალმა-ათის „კაირატი“. სპორტბაზის დირექტორის მოადგილემ, აწ განსვენებულმა დიმიტრი ქაცარავამ მიაწყო ნონა გაფრინდაშვილის ერთდროული სეანსი 20 დაფაზე. მასში მონაწილეობდნენ „კაირატის“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, პანსიონატ „სპორტის“ თანამშრომლები, ადგილობრივი ჭადრაკის მოყვარულები. ბლიც-ტურნირში ნონამ 18 პარტია მოიგო. 2 ყაიმით დაამთავრა – მათ შორის, ერთი სლავა მეტრეველთან. მაშინ სლავას კკითხე თუ ვინ მიაჩნია ყველა დროის უძლიერეს მცველად, ვის წინააღმდეგაც უთამაშნია. ჯალმა სანტოსიო – მიპასუხა. მცველებიდან იგი გამოჰყოფდა ფრანც ბეკენბაუერს და ჯაცინტო ფაკეტის, ჩვენებურებიდან მურთაზ ხურცილავას და ალექსანდრე ჩიგაძეს... მეკარეებიდან – ლევ იაშინს, ურუგვაელ მაზურკევიჩს, ინგლისელ ბენქსს და ქართველ სერგო კოტრიკაძეს...

ქართველ ფეხბურთელთაგან სლავა მეტრეველი ერთადერთია, ვისაც ბედნიერება ხვდა წილად ეთამაშა ფიფას – ნაკრებში 1968 წელს ბრაზილიაში გამართულ მატჩში ამ ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ... სლავას ძალზე სწყდებოდა გული, რომ ორივე ტაიმში არ ითამაშა... იგი მინდორზე მეორე ტაიმში ესპანელი ამანსიოს ნაცვლად გამოიყვანეს – თავდასხმის ხაზში მას პარტნიორობას უწევდნენ სახელგანთქმული ურუგვაელი ფორვარდი როჩა და უნგრელი ფარკაში... ხოლო, რაც შეეხება მის აზრს პელეზე, სლავამ აღნიშნა, რომ პელესგან მეტს მოელოდა. თუმცა, ისიც თქვა, „ფეხბურთის მეფეს“ პერსონალურად იჭერდა გერმანელი მცველი ვილი შულცი, რომელიც მას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა...

საუბარი გავაგრძელეთ. კითხვაზე – თუ როგორ შეეწყო იგი თბილისის „დინამოს“ და ცენტრფორვარდის ახალ ამპლუას, მითხრა, რომ ამაში სიახლეს ვერ ხედავს. საფეხბურთო კარიერა გორკის „ტორპედოში“ სწორედ ცენტრფორვარდად დაუწყია.

სლავა მეტრეველი რომ მრავალმხრივი სპორტსმენი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ იგი საბილიარდოს ხშირი სტუმარი იყო, ამას გარდა, ნადირობის და თევზაობის ტრფიალიც გახლდათ, სწორედ ამის გამო მეგობრობდა იგი პანსიონატ „სპორტის“ თანამშრომელ, ამ საქმის „ქურუმ“ გრიგორ ბახტაძესთან...

...იდგა 80-იანი წლები, სლავას საფეხბურთო კარიერა კარგა ხნის დასრულებული ჰქონდა. ლესელიძეში დასასვენებლად მყოფი პანსიონატ „სპორტის“ ტერიტორიის გავლით ზღვისპირა პლაჟზე მიდიოდა.

თვალი მოჰკრა, პანსიონატ „სპორტის“ თანამშრომლები და ადგილობრივი ფეხბურთის მოყვარულები თავს ვიქცევდით სათადარიგო მინდორზე კარში დარტყმებით... სლავა მოგვიახლოვდა შეკრებილთ და ორი გოლის თამაში შემოგვთავაზა – მინდვრის სიგანეზე და თანაც დასძინა... მომეცით ერთი კაცი, რომ კარში დავაყენო, დანარჩენები ჩვენი მოწინააღმდეგე იყავითო... წინადადება სიამოვნებით მივიღეთ და გაჩაღდა ორი გოლის თამაში – 8 კაცი ორის წინააღმდეგ და წარმოიდგინეთ, ერთტაიმიანი „შერკინება“ 8-2 დასრულდა სლავა მეტრეველის სასარგებლოდ. მით უმეტეს, რაც შეგვეძლო, ვითამაშეთ.

სლავა მეტრეველი ხშირად იმყოფებოდა სოჭში მშობლებთან, ჯერ კიდევ მოსკოვის „ტორპედოს“ მოთამაშეს სადაც კი მოიხელთებდნენ ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ – „სურს თუ არა თბილისის „დინამოში“ თამაში? – იგი ხშირად ნახევრადხუმრობით ნათქვამი პასუხით იგერიებდა ფეხბურთის მოყვარულებს – „როგორ არ მსურს, მაგრამ დედა არ მიშვებსო“. ბოლოს, როგორც იქნა, თბილისის „დინამოსაც“ აუხდა დიდი ხნის სურვილი, სლავა მეტრეველი მისი წევრი გახდა და შედეგმაც არ დააყოვნა... 1964 წელს, პირველად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, თბილისის „დინამომ“ ოქროს მედლები მოიპოვა, რაშიც ლომის წილი სლავას მიუძღვის. ამას გარდა, სლავა მეტრეველი სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო ქვეყნებში არანაკლებ პოპულარული იყო, ვიდრე თავის ქვეყანაში. კითხვაზე – თუ რაში ხედავს მიხეილ მესხთან მსგავსებას, სლავას პასუხი ასეთი იყო: ჩვენს შორის მსგავსება ძალიან ცოტაა, მე და მიშა სრულიად განსხვავებული სტილის მოთამაშეები ვართ... მიშას სტიქია შეტევაა, ამას გარდა, მისი სასტარტო სიჩქარე გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩემი და ამ მხრივ მას მხოლოდ ლეგენდარული გარინჩა თუ გაუწევს მეტოქეობას. რაც შემეხება მე, ჩემთვის სულ ერთია, რა ადგილზედაც ვითამაშებ გარემარბად, ცენტრფორვარდად, ინსაიდად, ნახევარდაცვაში, დაცვაში, თუ გინდათ მეკარედაც.

ხოლო, კითხვაზე თუ რაზე სწყდება გული, მითხრა, რომ ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე მძიმე ტრავმა მიიღო, მექსიკის ჩემპიონატს კი სათადარიგო სკამიდან უყურებდა. ასევე გული სწყდებოდა კიდევ იმაზე, რომ მიშა მესხი არც ერთხელ არ ათამაშეს ფიფას ან უეფას ნაკრებში.

...სლავა მეტრეველი მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე, ევროპის თასის მფლობელი, სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, მოსკოვის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში, 8-ჯერ დასახელდა სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, მათ შორის 7-ჯერ პირველ ნომრად. ამბობენ ადამიანი ცოცხლობს მანამდე, სანამ ახსოვთო. თუ ასეა, სლავა მეტრეველს დავიწყება არ უწერია, სანამ ჩვენს პლანეტაზე ფეხბურთი იარსებებს.

დემურ ტორაძე

ხელოვნება – ხელოვნებას! ოსტატობის მწვერვალი

საჭადრაკო მერიდიანი

მირანდა ხორავა – თბილისის ჩემპიონი

თბილისის ქალთა პირველობა ჭადრაკში იმავდროულად საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებაც იყო, რომელიც მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის საგზურების გაცემის უფლებამოსილია. ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის შორეულ მისადგომებთან ბრძოლას ჩვენი მოჭადრაკეები უნდა დაეინტერესებინა.

თავიდანვე პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად საერთაშორისო ოსტატები მირანდა ხორავა და ინგა ხურცილავა ითვლებოდნენ. ეს მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა — ხურცილავა ამჯერად საკმაოდ უფერულად თამაშობდა და საბოლოოდ მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

რაც შეეხება ხორავას, მას პირველი ადგილისათვის ბრძოლაში კონკურენცია ამჯერად ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა გაუწიეს. მაგრამ საბოლოოდ კლასმა მაინც გაჭრა და ხორავამ 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. კარგად წარმართეს მთელი შეჯიბრება ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა სოფიკო გვეტაძემ და ლალი წიქარიშვილმა.

მსურველი ბევრია

ევროპის გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელიც ადრე ივლისისათვის იყო დაგეგმილი, ახლა ოქტომბრისათვის არის გადატანილი.

მისი ჩატარების ერთ-ერთი პრეტენდენტია საქართველოს საჭადრაკო ფედერაცია, რომელიც შეჯიბრების გამართვას ბათუმში აპირებს.

ამ ჩემპიონატის ჩატარება სურთ აგრეთვე რუსეთს, სომხეთს, ბოსნიასა და ჰერცოგოვინას, უნგრეთს, პოლონეთს, ჩეხეთს და გერმანიას.

ადრე ევროპის პირველობა ინგლისში უნდა გამართულიყო, მაგრამ გარკვეული ფინანსური სიძნელეების გამო ამ ქვეყნის კანდიდატურა მოიხსნა.

ოცეულში ორი ქართველია

ფიდემ გამოაქვეყნა 20 წლამდე ქალიშვილების ახალი „რეიტინგ-ლისტი“. ამ ახალ ოცეულში ორი ქართველია. ტნამელმა ხოანგ ტჰანგ ტრანგმა, ჭაბუკებს შორის კი ყაზახმა დარმენ სადეკასოვმა.

კარპოვი პოლგარეების წინააღმდეგ

ანატოლი კარპოვი, საკმაოდ მოულოდნელად, „ფიშერის ჭადრაკის“ მომხრე და გულშემატკივარი გახდა. ახლა ხომ მაინც აღარ გაამტყუნებენ იმაში, რომ ამდენი ტურნირი თუ მატჩი ძირითადად საშინაო, კაბინეტური მომზადების წყალობით და მწვრთნელების შემწეობით მოიგო. ახლა იგი ბევრს თამაშობს „სწრაფ ჭადრაკს“ (შარშან ევროპის ჩემპიონი გახდა), აპირებს „ფიშერის ჭადრაკის“ პროპაგანდას და ა.შ.

როცა „სწრაფ ჭადრაკში“ კარპოვისა და იუდით პოლგარის მატჩი მოეწყო, (1998 წ. ნოემბერი), ბუდაპეშტელი ჭადრაკის მოყვარულები მას ნამდვილი ენთუზიაზმით შეხვდნენ. პირდაპირ ვთქვათ, რვა პარტიისაგან შემდგარ მატჩში არავინ მოელოდა 22 წლის იუდითის გამარჯვებას, მაგრამ სწორედ ასე კი მოხდა. პოლგარმა მოიგო 2 პარტია, 6 კი ყაიმით დაასრულა. ასე დაამარცხა (5:3) მსოფლიოში უძლიერესმა მოჭადრაკე ქალმა მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით. ახლა კარპოვი უკვე მეორე დასთან, მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგართან შესახვედრად ემზადება. მეტოქეები „ფიშერის ჭადრაკს“ ითამაშებენ, სადაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წინასწარ მომზადებას და თეორიას, რადგან ყველა პარტიის დასაწყისში ფიგურები სულ სხვადასხვა უჯრას დაიკავებენ (პაიკები კი ჩვეულებრივ მეორე და მეშვიდე ჰორიზონტალებზე განლაგდება). ამ მატჩის მოწყობის სურვილი ერთბაშად სამმა ქალაქმა – ნიუ-იორკმა, ლას-ვეგასმა და მონრეალმა გამოთქვა. ამასთან, სპონსორების მთელი ჯგუფიც გამოჩნდა.

ჟუჟა პოლგარი 29 წლისაა. იგი უკვე სამი წელია ნიუ-იორკში ცხოვრობს, და, როგორც გაიგება, „ფიშერის ჭადრაკის“ დიდი გულშემატკივარია. ამ სახეობაში, თურმე ნუ იტყვით, მას, თვით ბობი ფიშერი ავარჯიშებდა, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია ბუდაპეშტში ცხოვრობს და პოლგარეების ოჯახის წმირი სტუმარიც იყო.

კასპაროვი – ანანდი? რაღომაც არა!

ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი შეხვდა ინგლისში ჟურნალისტებს.

იგი საათზე მეტხანს პასუხობდა შეკითხვებს სხვადასხვა თემაზე, ძირითადად კი მსოფლიო ჩემპიონატების წარსულსა და მომავალზე, თავისი, როგორც მსოფლიო ჩემპიონის უფლებებზე და პრეტენდენტებთან შესაძლებელ შეხვედრებზე. კასპაროვის აზრით, მსოფლიო ჩემპიონის წოდება თვით ჩემპიონის საკუთრებაა და იგი ფიდემ არ უნდა მიითვისოს. კასპაროვმა გაიხსენა, რომ ომის შემდეგ ბოტვინიკმა თვითონ შეადგინა წოდების დაცვის ისეთი პირობები, რომელიც მას ყველაზე მეტად აძლევდა ხელს და შემდეგ იგი ფიდეს მიაღებინა, რაც ასე თუ ისე, მოქმედებდა 1975 წლამდე. შემდეგ კი ფიდემ მიიღო გადაწყვეტილება, მსოფლიო ჩემპიონობა ფიშერისათვის ჩამოერთვა და იგი კარპოვისათვის გადაეცა, რამაც დიდი დისკუსია გამოიწვია.

კასპაროვმა აღნიშნა, რომ 1993 წელს მსოფლიო პირველობის მატჩში კანონიერ პრეტენდენტ ნაიჯელ შორტს შეხვდა. მან მთელი შესარჩევი გზა გაიარა და დაამარცხა იგი. ახლა კასპაროვი ფიქრობს, რომ ფიდესთან კავშირის გაწყვეტა მისი უხეში შეცდომა იყო. 1995 წელს ჩემპიონმა კიდევ ერთხელ დაიცვა თავისი წოდება, ამჯერად უკვე ვიშვანათან ანანდთან ბრძოლაში. კასპაროვმა განაცხადა, რომ ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა, 1998 წელს უნდა შემდგარიყო მისი მორიგი ორთაბრძოლა ახალ პრეტენდენტ ალექსეი შიროვთან, დღესაც არის მისი ჩატარების ერთგვარი შესაძლებლობა, მაგრამ რამდენიმე შესაძლებელი პროექტი მაინც ვერ განხორციელდა.

ცნობილი ჟურნალისტი, საერთაშორისო ოსტატი ლეონარდ ბარდენი ჩემპიონს შეეკითხა, ხომ არ მიიღებდა იგი ანანდის გამოწვევას, რომელსაც ინდოეთში აუცილებლად გამოუჩნდებოდნენ პოტენციური სპონსორები. კასპაროვმა თქვა, რომ იგი აუცილებლად მიიღებდა ანანდის წინადადებას, უფრო მეტიც, მას თვით სურს ასეთი მატჩის მოწყობა. თუ ამ მატჩის ჩატარების ინიციატივას ცნობილი მეცენატი ბესელ კოკი (ბელგია) აიღებს, ნამდვილად შეიძლებოდა 2-3 მილიონი დოლარის საპრიზო ფონდის შექმნა. რაც შეეხება ინდოეთში თამაშს, ეს კასპაროვისათვის სრულიად მიუღებელია, რადგან ამას მისთვის საშინელი შედეგი მოჰყვებოდა, „მატჩი ინდოეთისათვის ეროვნული პრესტიჟის საკითხად გადაიქცეოდა“. ამავე დროს კასპაროვმა გამოთქვა რწმენა, რომ ახლა ანანდს არა სურს ასეთი მატჩის თამაში.

სიტყვა ჩამოვარდა ამას წინათ გარდაცვლილ დიდოსტატ ეფიმ გელერზე, რომელიც კასპაროვს დიდ მოჭადრაკედ მიაჩნია. იგი კასპაროვს შორტთან 1993 წლის მარტში ეხმარებოდა. ამ ორთაბრძოლაში გელერის რეკომენდაციებმა გარკვეული როლი შეასრულა.

კასპაროვმა განაცხადა, რომ ჭადრაკს მეტ დროს დაუთმობს. ფირმა „კასპაროვ კონსალტინგის“ მოქმედებას მან „დროის ფუჭად დაკარგვა“ უწოდა.

ჰინგისი და კაფელნიკოვი

ჰინგისი

კაფელნიკოვი

ავსტრალიის ღია პირველობა ჩოგბურთში ამჯერად მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა. პირველი იყო უკლებლივ ყველა ვაჟი ფავორიტის სასტიკი მარცხი, მეორე ის, რომ შეჯიბრებაში არც პიტ სამპრასი ჩაბმულა და არც მარსელო რიოსი. ქალთა შორის კი მართლაც დიდი სენსაცია მოხდა: ყველასათვის უცნობმა ფრანგმა ამალია მორესმომ პირდაპირ ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწია. მართლაცდა გაუგონარი ამბავია – განთავსების გარეშე დარჩენილი მოთამაშე ესოდენ ავტორიტეტული ტურნირის ფინალში გავიდა. მას ზოგმა მიმომხილველმა ჯანა დარკიც კი უწოდა. სხვა საკითხია, რომ მთელი თავისი ძალების მარაგი მორესმომ, ეტყობა, ლინდსეი დევენპორტთან ნახევარფინალურ მატჩში ამოწურა და ფინალური შეხვედრა მარტინა ჰინგისთან უბრძოლველად დათმო – 2:6, 3:6. რაც არ უნდა იყოს... საინტერესოა, რომ ჰინგისმა კურნიკოვასთან ერთად მოიგო წყვილთა შეხვედრა დევენპორტსა და ზვერევასთან.

ამ ასპარეზობაში ჩინებულად გამოვიდა ცნობილი შვედი ოსტატი ტომას ენკვისტი. ასევე მოულოდნელი იყო ფინალში ევგენი კაფელნიკოვის გასვლაც. ექსპერტები დიდი ინტერესით მოელოდნენ მათ შეხვედრას. გაიხსენეს, რომ ადრინდელ 6 შეხვედრაში შვედმა მოიგო ოთხი მატჩი, კაფელნიკოვმა კი – 2. რომ ენკვისტს აქამდე არასოდეს მოუგია „დიდი მუზარადის“ არც ერთი ტურნირი, კაფელნიკოვმა კი გაიმარჯვა მხოლოდ ერთხელ – საფრანგეთის ღია პირველობაზე 1997 წელს. მიმომხილველები ფინალური შეხვედრის წინ მეტოქეთა შესაძლებლობებს აფასებდნენ, როგორც თანაბარს: 50:50.

ფინალური მატჩი კაფელნიკოვის წარმატებით აღინიშნა. მან, მართალია, წააგო პირველი სეტი 4:6, მაგრამ შემდეგ უპირატესობა ჰქონდა: 6:0, 6:3, 7:6.

ამრიგად, მან პირველად გაიმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზე.

„ჯოჯო-ლოჯო“ – ეროვნული სიხარული!

31 იანვარს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეოთხე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

2. 8. 9. 19. 32. 42.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 359.10 ლარი.
4 ციფრი – 14.90 ლარი.
3 ციფრი – 1.60 ლარი.

„ჯეკ-პოტი“ 39 318 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **3. 5. 2. 6 4. 7. 0.**

შემდეგი ტირაჟი შედგება 7 თებერვალს, ჯეკ-პოტი **39 318** ლარი.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი-98“-ის და „ოლიმპი“-ს მოუგებელ ბილეთებზე ელექტრო და საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლებიც მოიგეს;

ლატარია „ოლიმპში“ — იმედა ცხვარიაშვილმა (თბილისი) ბილეთის №026799.

მაგდა ჯიქიამ (ქუთაისი) ბილეთის №046588.

ლატარია „გოლი-98“-ში — გიორგი რამიშვილმა (თბილისი) ბილეთის № 02166-015.

გიორგი რამიშვილმა (თბილისი) ბილეთის №02166-018.

ამასთან ერთად გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები.

პრიზები გაიცემა 1 თებერვლიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში. მის.: ჟ. შარტავას ქ. №40.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

ნახევარი ქულით

რა თქმა უნდა, ვეიკ-ან-ზეეს (ჰოლანდია) სუპერტურნირი 14 დიდოსტატის მონაწილეობით დიდი მოვლენა იყო მიმდინარე სეზონის საჭადრაკო კალენდარში.

ყველა მიმომხილველი ინტერესით მოელოდა ამდენი პაუზის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის გამოსვლას. მის ძირითად მეტოქეებად კი, როგორც ყოველთვის, ვიშვანათან ანანდსა და ვლადიმირ კრამნიკს ასახელებდნენ. მოულოდნი მნიშვნელოვანწილად გამართლდა კიდეც.

მოულოდნელი მხოლოდ ერთი რამ იყო: კასპაროვი პირველი პარტიის (ვასილი ივანჩუკთან) ყაიმით დამთავრების შემდეგ მეტისმეტად აგრესიულად მოქმედებდა. მან შეძლო ზედიზედ 7 პარტიის მოგება, რის შემდეგ უახლოესი მდევარი ანანდი უკვე ერთნახევარი ქულით ჩამოიტოვა. ამ მომენტში ლაპარაკობდნენ კასპაროვის მიერ მსოფლიო რეკორდის დამყარებაზე, „გრიგალზე, რომელსაც გარი ჰქვია“ და ა.შ.

სინამდვილეში კი საქმე ცოტა სხვანაირად წარიმართა. მეცხრე ტურში შავებით ბოსნიელ ივან სოკოლოვთან შეხვედრაში, კასპაროვმა ნიმცოვიჩის დაცვის კარგად შესწავლილ ვარიანტში მოულოდნელად მძიმე შეცდომა დაუშვა და პირველი დამარცხება განიცადა. მეათე ტურში 22-ე სვლაზე ანანდს ყაიმზე შეუთანხმდა, მომდევნო პარტია ასეთივე შედეგით დაასრულა ჰოლანდიელ იან ტომანთან.

ამის შემდეგ კასპაროვს 11 შეხვედრიდან 8,5 ქულა ჰქონდა. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ანანდი, მესამე ადგილზე მყოფმა კრამნიკმა კი 7 ქულა მოაგროვა. მდგომარეობა დაიძაბა.

ახლა უკვე რეკორდსაკენ მისწრაფების დრო აღარ იყო — საჭირო გახდა პირველი პრიზისათვის ბრძოლა. ეს კასპაროვმა მოახერხა კიდეც. მან საბოლოოდ 10 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ანანდს. 8 ქულით მესამე ადგილზე კრამნიკია, რომელმაც ბოლო ტურში ყაიმით დაასრულა შეხვედრა კასპაროვთან.

2 თებერვალი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში (23.20). ***II არხი.*** „სუპერმატჩი“. ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (12.30). ***REN TV.*** „სპორტკურიერი (21.45; 0.30). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 15.35). სამთო თხილამურები (10.10; 23.20). ფიფას გალა-წარმოდგენა ბარსელონაში (11.25). ჰოკეი (13.35). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი: „არსენალი“ – „ჩელსი“ (16.00). ფრენბურთი (17.55). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.30; 0.30). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.25). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (1.00; 3.30; 8.30; 17.30). კარატე (2.30; 7.30). თხილამურები (3.00; 4.00). კალათბურთი (4.30; 9.00), კრიკეტი (6.30; 18.00; 19.00; 21.30). ფეხბურთი (11.00; 11.30; 15.30; 22.30). ***EUROSPORT.*** სპორტის ექსტრემალური სახეობები (13.00; 21.00; 4.00). სამთო თხილამურები (14.00; 20.00; 23.30). ფეხბურთი (15.00; 22.00). ბობსლეი (18.00). კრივი (0.30). გოლფი (3.00).

3 თებერვალი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში (0.20). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. TB центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში“ (12.00). ჰოკეი (20.55). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (19.55; 0.25). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.00; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.05). სამთო თხილამურები (11.10). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (12.20). ფრენბურთი (13.55). მოტოსპორტი (16.25). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.40; 1.10). სპორტული ცეკვები (18.00). „დიდი რინგი (22.25). ***ESPN.*** თხილამურები (1.30). ცხენოსნობა (2.00). მოტოსპორტი (3.00). კალათბურთი (4.30; 6.30). კრიკეტი (8.30; 12.00; 19.00; 21.00). ფეხბურთი (10.00; 16.00, 23.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ექსტრემალური სახეობები (13.00; 21.00; 4.00). სამთო თხილამურები (14.00; 20.00). ფეხბურთი (15.00; 22.00). ბობსლეი (18.00). კრივი (0.30). გოლფი (3.00).

4 თებერვალი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში (0.05). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა. (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. TB центр.*** ჰოკეი (20.55). კალათბურთი. ევროლიგა (2.20). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (21.45; 0.40). ***ACT.*** „სპორტი ყოველ დღე“ (15.00; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** სამთო თხილამურების გაკვეთილი (8.05; 15.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.15), ფიგურული ციგურაობა (10.45). ჰოკეი (13.10). მოტოსპორტი (16.10). ლათინოამერიკული ფეხბურთი (18.50; 1.35). ამერიკული ფეხბურთი (22.25). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (1.00; 3.30; 8.00). კალათბურთი (4.00). კრიკეტი (6.30; 7.30; 8.20; 10.30; 11.10; 19.00; 21.00). ფეხბურთი (16.00; 17.30; 23.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ექსტრემალური სახეობები (3.00; 21.00; 4.00). ბიატლონი (14.00). ფეხბურთი (15.00; 1.00). მოტოსპორტი (16.00; 22.00; 3.00). სნოუბორდი (17.00). ჩოგბურთი (17.30). კრივი (0.00).

5 თებერვალი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. „ასპარეზი“ (22.30). მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში (0.25). ***II არხი.*** რაგბი (21.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. REN TV.*** „სპორტკურიერი“ (21.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.00; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეის გაკვეთილი (8.05; 16.10). ლათინოამერიკული ფეხბურთი (8.45). ჭადრაკი (9.10). ჰოკეი (10.10; 16.50; 22.25). თხილამურები (15.00). ტაილანდური კრივი (19.35). სამთო თხილაურები (20.50; 23.50). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (1.00, 3.30). კალათბურთი (4.30). კრიკეტი (6.30; 7.30; 8.20; 10.30; 11.10; 18.00; 19.00, 21.00). ცხენოსნობა (16.00). ჩოგბურთი (17.30). ფეხბურთი (23.00) კეტბურთი (23.30). ***EUROSPORT.*** სპორტის ექსტრემალური სახეობები (3.00; 2.30). მოტოსპორტი (14.00; 22.30). ბობსლეი (15.00; 1.00). სნოუბორდი (17.00; 4.00). ჩოგბურთი (17.30). მძლეოსნობა (23.00). სამთო თხილამურები (0.00).

6 თებერვალი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. ავტოსპორტი (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ბიატლონი (14.55). სპორტის ახალი ამბები (1.30). ციგურებით რბოლა (3.15). ***НТВ.*** ჰოკეი (14.00). ***TV-6.*** (მოსკოვი). რუსული ჭიდაობის ვარსკვლავები (17.45). ***TB центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში (15.15). ჰოკეი (16.55). ***ACT.*** „სპორტი“ (23.00). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (10.35; 16.10). ტაილანდური კრივი (10.40). ჰოკეი (11.25, 16.30). სამთო თხილამურები (13.35; 21.50). „დიდი რინგი“ (20.35). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.55). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (1.00; 3.30). კალათბურთი (4.30; 5.00; 16.00). კრიკეტი (7.30; 8.20; 10.30; 11.10; 19.00; 21.00; 23.00). ***EUROSPORT.*** ბობსლეი (14.00; 17.00; 0.00; 2.00). ბიატლონი (15.00), ციგურებით რბოლა (16.30; 18.00). თხილამურები (19.30). ჩოგბურთი (21.00; 23.00). კრივი (3.00).

7 თებერვალი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. II არხი. „სუპერმატჩი“ (20.00). ***რუსეთი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.10). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (18.10). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***ევროკა.*** კვირის სპორტი (17.30). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ბიატლონი, ციგურებით რბოლა (12.55; 2.20). „სპარტაკი“ – ჩემპიონი! (17.30). ***РТР.*** ბიატლონი (17.15). ***TB центр.*** ჰოკეი (16.55). ***REN TV.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგა (16.30). ***AST.*** „სპორტი“ (15.05; 23.00). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი (10.55; 23.45). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (14.00). სამთო თხილამურები (16.10; 21.50). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (17.25) საჭადრაკო მიმოხილვა (19.30). ფიგურული ციგურაობა (20.00), სპორტული ტოტალიზატორი (23.35). ***ESPN.*** კრივი (0.00). ჩოგბურთი (3.30). სპორტული ცენტრი (4.00; 18.00). ფეხბურთი (4.30; 16.00; 23.00). კრიკეტი (6.30; 7.30; 10.30; 11.10; 19.00; 21.00). ***EUROSPORT.*** ბიატლონი (13.00; 15.00; 17.30. ბობსლეი (14.00). თხილამურები (16.00). ციგურებით რბოლა (18.00; 0.30). ჩოგბურთი (19.30; 20.45). სამთო თხილამურები (22.00; 2.15). ავტოსპორტი (23.00). სპორტის ექტრემალური სახეობები (23.30). მძლეოსნობა (1.00). სპორტული ცენტრი (2.00). თხილამურები (3.15).







თარაზულად: 5. ბატუტზე მხტომელი ქართველი ქალი, 7. 50-იან წლებში მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი, მეკარე. 8. ახლო წარსულში გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი. 11. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 12. წარსულში ცნობილი ფრანგი საფეხბურთო მსაჯი, 13. ცნობილი კანადელი ჰოკეისტი, 16. იუგოსლავიის საკალათბურთო კლუბი, 17. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 21. კლუბი, სადაც გამოდის არჩილ არველაძე, 22. აშშ-ს საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 23. „აიაქსის“ ნიგერიელი ფეხბურთელი, 26. არგენტინელი ფეხბურთელი, რომელიც სულ ახლახანს შეიძინა „იუვენტუსმა“, 27. ფიფას პრეზიდენტი, 28. სპორტის ზამთრის სახეობა.

შვეულად: 1. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 2. „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი-მოთამაშე, 3. ცნობილი შვედი სამთო მოთხილამურე ვაჟი, 4. კუროორტი თურქეთში, 6. „იუვენტუსის“ ფეხბურთელი *(ფოტო)*, 9. სპორტის ზამთრის სახეობა. 10. ქართველი მოთხილამურე ქალი, 14. „ფრაიბურგის“ საფეხბურთო მწვრთნელი *(ფოტო)*, 15. ცნობილი აღმოსავლეთევროპელი ჩოგბურთელი ვაჟი, 18. წარსულში ცნობილი რუსი სიმაღლეზე მხტომელი, 19. თავხოტორა იტალიელი საფეხბურთო მსაჯი, 20. წარსულში მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელი, მცველი, 24. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 25. ასპარეზი, სარბიელი (გადატანითი მნიშვნელობით).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. აკრობატიკა, 13. ბერლუსკონი, 14-16. ხუანიტო, 17. იაშვილი, 19-21. სტიმული,, 22. კოტკასი, 24. „ფიორენტინა“, 31. აუტსაიდერი. **შვეულად:** 5-16. ამორუზო, 6-17. ელვესტი, 7. პეტროსიანი, 8. ფერგიუსონი, 11. ბრონშტეინი, 12. არტამონოვა, 21. ისელიძე, 22. კონორსი. **დიაგონალურად:** 1-9. ამორო, 10-2. ვშოლა, 3-16. ლეონარდო, 17-4. იპოდრომი, 7-1 პრესა, 2-12. არმია, 7-15. „პარმა“, 18-12. ისიდა, 25-20. იპონი, 23-28. აუიტა, 29-21. ანჩელოტი, 22-30. „კრისტალი“, 31-26. ათენი, 27-32. რიოსი, 25-31. იუნგა, 32-28. იალტა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეh5!

1. ... მb4 2. ე:b4 მg:a2 3. ეa5X.
1. ...მc5 2. ე:c5 მg:a2 3. ეa5X.
1. ...მc7 2. მg:c7 მg:a2 3. ეa5X.
1. ...მb8 2. ე:b8 მg:a2 3. ეa5X.

ოთხი შამათი ერთი ფიგურით!

თბილისი. 380008. ჭ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელის“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე